დანართი N3

ა(ა)იპ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება“

საქართველო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება

4100, ქ.სენაკი, ტაბიძის ქ. N 60
117, Zviad Gamsakhurdia Str., Senaki, Georgia

(ს/კ 239892434)
595 994 004

№ 23 06 02 2024 წ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ვახტანგ გადელიას

ბატონო ვახტანგ,

თქვენი, 2024 წლის 24 იანვრის N 40-402402412 წერილის პასუხად გეგზავნებათ მოთხოვნილი ინფორმაცია.

დანართი 5 ფურცელი.

პატივისცემით,

გაერთიანების დირექტორი ა. ჯანჯღავა

ა ნ გ ა რ ი შ ი

აიპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2023 წლის 12 თვის მდგომარეობით სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში ფუნქციონირებდა 27 ს/ბაღი, ქალაქად- 10 სოფელად- 17, აღსაზრდელთა რაოდენობა - 936. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რიცხოვნება შეადგენს 339. აქედან ს/ბ-ბაღებში-310 ,სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ადმინისტრაციაში -25, შტატგარშე მომუშავეთა რიცხოვნობა 4. სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების 2023 წლის 12 თვის მდგომარეობით სუბსიდიური დაფინანსება გეგმით 2724100 ათ,ლარი, აქედან 2023 წელს ბიუჯეტით მიღებულია 2721717,45 ლარი.

ა) სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ადმინისტრაციისათვის 2023 წელს ბიუჯეტიდან გახარჯულია 253954,15ლარი. აქედან:

1. შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა სულ -227635,49 ლარი. აქედან, ხელფასი -220076,01 ლარი, პრემია -7559,48 ლარი.
2. სოც.უზრუნველყოფის ხარჯი -1382,83 ლარი.
3. მივლინების ხარჯი -1074,50 ლარი.
4. ოფისი და სხვადასხვა საქონელი და მომსახურება სულ - 11764,13 ლარი; (მ/შ ინტერნეტის მომსახურეობა -1650 ლარი, წყლის გამათბობელის შეძენა - 220 ლარი, საკანცელარიო საქონლის შეძენა - 1625 ლარი, საოფისე ავეჯის შეძენა - 1990 ლარი, ორიგინალური კატრიჯების შეძენა - 1600 ლარი, სილქნეტის მომსახურება - 2295,63 ლარი,ეკონომიკური საქმიანობის რეესტრი - 39 ლარი, პრინტერისთვის კატრიჯის შეძენა - 1440, ელ.შტამპი - 325ლარი,ცეხლმაქრის დატუმბვა -120ლარი,წყლის დისპენსერი -150ლარი, ელ.გამათბობელი- 77 ლარი, ტექდათვალიერება -60ლარი, სხვადასხვა ხარჯი - 172,50 ლარი);
5. ტრანსპორტირების ხარჯები: - 7971,20 ლარი, (მათ შორის: საწვავზე- 4739,20 ლარი, ავტომანქანის რემონტი -2800ლარი, საბურავების შეძენა - 432 ლარი);
6. სხვადასხვა ხარჯი - 4126 ლარი (საქ.ფინანსთა ასოციაციის საწევრო შენატანი - 4000 ლარი; არქივის ხარჯი -126 ლარი);

ბ) სკაღზრდის გაერთიანებაში შემავალი ბ/ბაღებისათვის 2023 წელს ბიუჯეტიდან გახარჯულია - 2467763,30ლარი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება - 1796228,14 ლარი.(მ.შ ხელფასი - 1735723,19 ლარი, ერთჯერადი დახმარება - 60504,95 ლარი.
2. კვებაზე დახარჯულია სულ - 455708,73 ლარი. (მ.შ.კვება- 441968,13, სასმ.წყალი -3243.36ლარი, საახალწლო ნობათი - 10497.24 ლარი).
3. სოც.უზრუნველყოფის ხარჯი -1214.14 ლარი;
4. შტატგარეშე მომუშავეთა ხარჯი -23337.13 ლარი;(მათ შორის ხელფასი -22400 ლარი, ერთჯერადი დახმარება -937,13 ლარი).
5. ოფისი და სხვადასხვა საქონლის და მომსახურეობა -174166,61 ლარი (მ/შ თხევადი გაზის შეძენა – 1500 ლარი, წყალმომარაგების კომპანის მომსახურეობა - 14622,71 ლარი, ჰიგიენური საშუალებების შეძენა -3000 ლარი, ბუნებრივი აირის შეძენა -16130,70 ლარი, ტენდერის გამოცხადება -950 ლარი, ენერგოპროჯორჯიის მომსახურება -50262,15 ლარი, სხვადასხვა სახის საქონელი -6417,50 ლარი, 112-ის მომსახურება(სილქნეტი) – 82,10 ლარი, სილქნეტის მომსახურება -1430 ლარი, ელექტროსასწორის შეძენა -320 ლარი, საოჯახო ტექნიკის შეძენა - 330 ლარი, შეშის ღუმელის და მოწყ.შეძენა -2110,50 ლარი, ავეჯის შეძენა -8000 ლარი, სიგელები , და აბრის თანხა -1170,90 ლარი, ლინოლიუმის შეძენა- 1430 ლარი, სკოლაში წამსვლელი აღსაზარდელთა სასაჩუქრე ნობათი 3487,25 ლარი, ელ.ღუმელი -539ლარი, სამზარეულოს მოწყობილობა და სხვა - 3209,80 ლარი, ცეცხლმაქრების დამუხტვა - 2160 ლარი, შეშის შეძენა (ბრიკეტი) -55440 ლარი, წყლის ავზის შეძენა -794 ლარი, ცენტრალური გათბობის შეკეთება - 100 ლარი,კოღოს საწინაამღდეგო ბადის შეძენა- 200 ლარი, რკინის კარის შეძენა -480 ლარი.
6. სხვა ხარჯი სულ -17108,55 ლარი მათ შორის: დასუფთავების სანიტარულ ღონისძიების რეზერვუარის ამორეცხვა და სხვა -6331,55 ლარი, წყლის ანალიზი – 5670 ლარი, დეზობარიერები –150 ლარი,ბინის ქირავნობა -4500 ლარი, საჯარო რეესტრი - 157 ლარი, ასენიზაციის ხარჯი -300 ლარი).

სულ 2023 წელს სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებისა და ბაგა-ბაღებზე მიზნობრივად გახარჯულია -2721717,45 ლარი.

2023 წელს გაერთიანების მიერ გატარდა მთელი რიგი სამუშაოები სააღმზრდელო პროცესის წარმატებულად და შეუფერხებლად წარმართვისათვის. კერძოდ;

დაგეგმილი იყო და მიმდინარეობდა აქტივობები სხვადასხვა საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე. მარტის თვეში გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა „დედის დღესთან“ დაკავშირებული ღია აქტივობები, ასევე მარტის თვეში დაიგეგმა და წარმატებით წარიმართა გამწვანების აქცია-კვირეული „ჩვენ ბუნების მეგობრები ვართ“ . საიტერესო იყო საბავშვო ბაღების მიერ გამართული დედაენის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები და შემეცნებითი საუბრები, ხარება, ბზობა, აღდგომის თემებზე.

ასევე მასშტაბური და ძალიან საინტერესო იყო ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობა, რომელიც სენაკის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გამართული გალა-კონცერტით დასრულდა.

წარმატებით ჩატარდა და წელსაც გაგრძელდება ჩვენს მიერ განხორციელებული პროექტი „წიგნის დრო-სტუმრად ზღაპრის სამყაროში“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ბავშვებისათვის ჩაგვენერგა წიგნის სიყვარული, გაგვეცნო მათთვის ქართული ხალხური ხღაპრები და მათი გმირები, ამასთან ბავშვებს ეძლეოდათ საშუალება განესახიერებინათ, დაეხატათ, გამოეძერწათ ზღაპრის გმირები, გამოეხატათ თავისი აზრი და დამოკიდებულება პერსონაჟთა მიმართ. პროექტი წარმატებით განხორციელდა გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღში.

სასწავლო წლის ბოლოს გაერთიანების ბაგა-ბაღებში გაიმართა გამოსაშვები აქტივობები. სკოლაში გავაცილეთ 377 აღსაზრდელი. თითოეულ მათგანს გადაეცა სამახსოვრო სიგელები, მასზედ რომ მათ წარმატებით გაიარეს სასკოლო მზაობის სრული კურსი და სასკოლო ნივთების ნაკრები.

იანვრის თვეში ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების მიერ გატარდა ყველა საჭირო და აუცილებელი ღონისძიება საბავშვო ბაღების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ყოველთვიურად ტარდებოდა ბ/ბაღებში დეზინფექციისა და დეზინსექციასთან დაკავშირებული მომსახურებები, რეცხვა დეზინფექცია ჩაუტარდა ბაღებში არსებული წყლის რეზერუარებს. ამასთან მაისის თვეში ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა მწერებისა და ქვეწარმავლების საწინაამღდეგო სპეციალური სადეზინფექციო სამუშაოები.

შესრულდა ყველა საჭირო სამუშაო ბაღების კვებით მომარაგებისათვის, იანვრის თვეში დამტკიცდა მრავალფეროვანი მენიუ, რომელიც ოთხჯერად კვებას ითვალისწინებდა. კვების თანხამ 1 აღსაზრდელზე შეადგინა 3,67 ლარი.

გარკვეული სამუშაოები გატარდა იმისათვის, რომ გაერთიანების ყველა საბავშვო ბაღი მომარაგებულიყო საწვავი ხის (ბრიკეტის) მასალით. შეძენილი იქნა 55440 ლარის ბრიკეტი, რომელიც დროულად განაწილდა ყველა ბაღში.

გასულ წელს დაიწყო და მიმდინარეობს გაერთიანების N 3 ბაგა-ბაღის ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები. მშენებლობას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 4,0 მლნ ლარამდეა და 2024 წელს სენაკში კიდევ ერთი თანამედროვე სტანდარტების აშენებული საბავშვო ბაღი გაიხსნება. გამოცხადდა ტენდერი და დაიწყო სამუშაოები გაერთიანების სამი საბავშვო ბაღის მშენებლობაზე. 2024 წელს დასრულდება ძვ.სენაკის N 1 , ლეძაძამის, ფოცხოს N 1-ი საბავშვო ბაღების მშენებლობა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში სრულად გამოიცვალა სახურავები ქალაქის N 2 და N 6 ბაგა-ბაღებში. ამასთან უახლოეს პერიოდში იგეგმება ამავე ბაღების და N 1 ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია და გათბობის სისტემების მონტაჟი.

საკმაოდ წარმატებული იყო გაერთიანების საბავშვო ბაღების პედაგოგების მონაწილეობა რესპუბლიკურ კონკურსებში „მწვანე ჯილდო“, რომელიც გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული. მასში გაერთიანების სამმა პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა, მათ წარმატებით გაიარეს კონკურსის ყველა ტური, ხოლო ერთი მათგანი გადავიდა ფინალურ ტურნირში და დასახელდა წლის საუკეთესო პედაგოგთა ათეულში.

მიმდინარე წლის მაის-ივნისის თვეში განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილი ბაღების ავტორიზაციის თვითშეფასების ეტაპი გაიარა გაერთიანების 27-ე საბავშვო ბაღმა. შესრულდა საკმაოდ მოცულობითი სამუშაო, დეტალურად იქნა აღწერილი ამ ეტაპზე ბაღებში არსებული სიტუაცია, შეფასდა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობა და მისთვის საჭირო რესურსის დღევანდელი მდგომარეობა, გაიწერა პრობლემების აღმოფხვრის გზები და ვადები.

საკმაოდ დატვირთული იყო გაერთიანების ბაგა-ბაღები საინტერესო, შემეცნებითი და სპორტული აქტივობებით შემოდგომისა და წინასაახლწლო პერიოდში. ჩატარდა

აქტივობები თემებზე ბიომრავალფეროვნება, ჰაბიტატი, შემოდგომა, თემატური აქტივობა მშობლების ჩართულობით, ღიმილის დღე და მხიარული თამაშები. მხიარულ თამაშებში გაერთიანების 12 ბაღმა მიიღო მონაწილეობა, თამაშებში ჩართული იყო, როგორც ქალაქის ასევე სოფლის საბავშვო ბაღები, ხოლო თამაშების ჩატარების ერთ-ერთ ადგილად შეირჩა კოტიანეთის საბავშვო ბაღი. 2024 წელს იგეგმება ზედა ზონის სოფლების ყველა საბავშვო ბაღის მონაწილეობა მსგავს ღონისძიებაში.

წარმატებული და საინტერესო იყო საახალწლო და საშობაო აქტივობები გაერთიანების ბაგა-ბაღებში. გაერთიანების 936 აღსაზრდელს გადაეცა საახალწლო საჩუქრები, რაზედაც დაიხარჯა 10497 ლარი.

სასწავლო სააღმზრდელო წლის ბოლოს განახლდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემები ყველა საბავშვო ბაღში, შემოწმდა და გამოიცვალა 76 ცეცხლმაქრი, რაზედაც გაიხარჯა 2160 ლარი. წლის ბოლოსათვის ასევე შეძენილ იქნა ბაღებისათვის საჭირო სამზარეულოს ტექნიკა, ჭურჭელი, თეფშები, ლამბაქები და ჭიქები, გაიცვალა შეშის ღუმელები და მილები.

2024 სასწავლო წელს იგეგმება ბაღებისათვის საჭირო სან.ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო ნივთების, წიგნების, სათამაშოების და ავეჯის შეძენა. ამასთან უკვე შეირჩა და მიმდინარეობს მზადება 20 აღმზრდელ-პედაგოგისათვის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულის გასავლელად. ცნობისათვის ამ ეტაპზე აღნიშნული ტრენინგი გავლილი აქვს გაერთიანების 46 აღმზრდელ-პედაგოგს.

2024 წლისათვის გვაქვს კიდევ სხვა მნიშვნელოვანი გეგმები, რომელთა განხორციელებას ვაპირებთ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით.

გაერთიანების დირექტორი ა. ა. ჯანჯღავა